ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7983013

ნომერი: AR11144917

თარიღი : 27.05.2026

გაცემის თარიღი : 30.06.2026

გაცნობის თარიღი : 01.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის I შესახვევი N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთი ბუგიანიშვილი პ/ნ 50001001807
- ცხინვალი ტუგანოვის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
წარმოდგენილი იქნას № 7781118 ბრძანებით შეთანხმებული გენ- გეგმის ნახაზი მოინიშნოს ორთოგონალური პპროექცია სადაც იგეგმება სარეკლამო აბრების განთავსება. მეტი თვაკსაჩინოებისათვის დაინომროს სარეკლამო აბრების განთავსების ადგილები და შესაბამისი ნუმერაცია იქნას ასახული ფოტოსურათებზე და ფოტომონტაჟზე დამატებით .

არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათების ველში ატვირთეთ მხოლოდ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები გენ- გეგმაზე ასახული ნუმერაციის მითითებით, ხოლო საპროექტო ფოტომონტაჟები ატვირთული ფოტოსურათის საფუძველზე უნდა იქნას დამუშავებული (თუ უცხოენოვანი აბრა მოწყობილია უნებართვოდ საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციას მათ მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ უნდა განახორციელოთ დემონტაჟი ).

ასევე გაითვალისწინეთ : .ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : განმეორებით გაცნობებთ შენობის ყველა ფასადზე დატანილი წარწერა უნდა იყოს ორენოვანი რეკლამის შესახე საქართველოს კანონის დაცვით;

გამმეორებით გაცნობებთ : რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით). სარეკლამო აბრასთან მიმართებაში, იმისათვის რომ მოხდეს სახელმწიფო ენის სრული დაცვა და ტრანსლიტერირება, საჭიროა სარეკლამო აბრაზე წარწერა დამთვრდეს სახელობითი ბრუნვით (ხმოვნით).

წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

საბოლოოდ გაცნობებთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.